სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებს

ამავე უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის
არჩილ კუკულავას

სამსახურებრივი ბარათი

პატივცემულო ქალბატონებო/ბატონებო,

გაცნობებთ, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014 წლის 19 ნოემბერს სარეგისტრაციო ნომრით 39800/02 შემოსულია ქალბატონ თანანა ბაღათურიას კორესპონდენცია. კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ ,,ტაქსიფაი'' წარმოადგენს მძღოლის გამოძახების აპლიკაციას, რომელიც შეიქმნა ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ,,სკაიპის'' შემქმნელების მხარდაჭერით. ,,ტაქსიფაის'' მეშვეობით სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა თავისუფალ დროს მიიღონ დამატებითი შემოსავალი.

გთხოვთ, უზრუნველყოთ სტუდენტების ინფორმირება აღნიშნული პროდუქტის შესახებ.

დანართის სახით, გიგზავნით აღნიშნულ კორესპონდენციას.

დანართი: 1 ფურცელი

პატივისცემით,

არჩილ კუკულავა

40031/02
21 11 2014 8 1 2

taxify

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის

ადმინისტრაციის ხელმძღვანელს

ბატონ დავით ჩომახიძეს

ბატონო დავით, გაცნობებთ, რომ საქართველოში, კერძოდ კი თბილისში, გაიხსნა ესტონური კომპანია „ტაქსიფაის" ოფიციალური წარმომადგენლობა (ვებ.გვერდი: taxify.eu/ka).

„ტაქსიფაი" წარმოადგენს მძღოლის გამოძახების აპლიკაციას, რომელიც შეიქმნა ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ „სკაიპის" შემქმნელების მხარდაჭერით.

„ტაქსიფაი" დიდი პოპულარობით სარგებლობს ბალტიისპირეთის ქვეყნებში და დანარჩენ ევროპაში - ევროპელ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას თავისუფალ დროს მიიღონ დამატებითი შემოსავალი. გვსურს ეს შესაძლებლობა ქართველ სტუდენტებსაც შევთავაზოთ.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანული კომპანი BOC Global Events Group-ის მიერ ორგანიზებულ დაჯილდოვებაზე „ტაქსიფაი"-მ გაიმარჯვა კატეგორიაში „People's Choice Business of the Year" და გახდა 2014 წლის Business Brilliance Award-ის მფლობელი.

მოგმართავთ თხოვნით, დაგვეხმაროთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლების ინფორმირებაში ზემოაღნიშნული პროდუქტის შესახებ, თქვენს ხელთ არსებული ყველა რესურსით.

ამასთანავე, „ტაქსიფაის" ქართული წარმომადგენლობა აცხადებს მზადყოფნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტებს შესთავაზოს სტაჟირების შესაძლებლობა (Internship) სხვადასხვა პოზიციაზე.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის,

პატივისცემით,

თანანა ბაღათურია

599 30 12 28

19.11.2014

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის
შემოსავალი
კორესპონდენციის № 39800/02
19 11 2014 წ.
ელფოსტა